ხელშეკრულება №4/მ

თბილისი „6"„იანვარი" 2011 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, შემდგომში „შემსყიდველი", გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ყიფშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯი ემ ესი", შემდგომში „მიმწოდებელი", დირექტორის შოთა ბუხაიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა ერთ პირთან მოლაპარაკება საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, კლინიკის საჭიროებისათვის სამედიცინო დანიშნულების ერთჯერადი მოხმარების საგნების შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნულ კლინიკას მოთხოვნილი საგნები 30627.49 (ოცდაათი ათ ს ექვსასოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. დანართი №1 შესაბამისად

4. მომსახურების გაწევის (საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების) პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება, ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.1.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.2. ადგილი:

4.2. შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა" ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №29.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

5.2. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების და/ან ანგარიშ-ფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე;

5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და/ან სასაქონლო ზედნადების და/ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 60 საბანკო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით და/ან სასაქონლო ზედნადებით, და/ან ანგარიშ-ფაქტურით.

6.2. „მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და/ან სასაქონლო ზედნადებს და/ან ანგარიშ-ფაქტურას.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და/ან სასაქონლო ზედნადების და/ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 60 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;
8.2.2. აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;
8.2.3. შეცვალოს ანგარიშგების ფორმები დადგენილი წესით, რის შესახებაც ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს „მიმწოდებელს".

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისისნი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულ;ების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოაბათან დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მე ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ერთი თვით ადრე.ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 30 ივნისამდე.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ორი – „შემსყიდველთან".

<u>მხარეთა რეკვიზიტები</u>

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"	*შპს „ჯი ემ ესი"*
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№29	*ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. 56*
ს/კ №205165453	*ს/კ №204453313*
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი ბ/კ №220101757 ა/ა №3408078257	*ს.ს. „თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი ბ/კ №220101850 ა/ა №38536020100001*
გენერალური დირექტორი ნ. ყიფშიძე	*დირექტორი შ. ბუხაიძე*

დანართი №1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	035 260 ST მავთული	5	24.61	123.05
2	1901 GB სერჯისელი 5*3.5 სმ	49	47.66	2335.34
3	402 605 X ავანტი პლუსი ინტროდიუსერი F5 11 სმ მინი გამტარით	5	34.64	173.2
4	466 P 306 A ტრეპიზი მუდმივი ვენა კავა ფილტრი 6 F	1	1372.65	1372.65
5	504 404 X ავანტი პლუსი ინტროდიუსერი F4 (1.35 mm)	5	20.27	101.35
6	504 606 X ავანტი პლუსი ინტროდიუსერი F6 11სმ მინი გამტარით	75	32.88	2466
7	504 607 X ავანტი პლუსი ინტროდიუსერი F7 11სმ მინი გამტარით	5	32.88	164.4
8	533620 კათეტერი სუპერ თორქი F6 JL-4	5	32.88	164.4
9	534621T CATH IHF .038 F6 100 JR-4 TL	20	32.88	657.6
10	534622 T კათეტერი ინფინიტი 6F JL5	5	32.88	164.4
11	6R45B RELOADS/LINEAR CUTTE	3	284.19	852.57
12	6TB45 ETS-FLEX45 LINEAR CUTTE	1	1023.09	1023.09
13	C 37 03 R F5-QA-005-RT	1	532.3	532.3
14	C 37 53 R F5-QF-005-RT	1	532.3	532.3
15	D 34 37 R 2-5-2 F7 TC B-CURVE	1	1616.48	1616.48
16	D12LT 10/12mm X100mm DILAT	3	208.01	624.03
17	კარდიოქირურგიული ნაკრები	28	57	1596
18	FEP 15 ELEQTRODE (2/0) 60 სმ ორი ნემსი სწორი მჭრელი 63 მმ და ტა	22	30.71	675.62
19	GB სერჯისელი 5*7,5 სმ	10	30.37	303.7
20	LT 300 LIGACLIPEXTRATITAN	20	19.18	383.6
21	M624G ქირურგიული ლითონის მავთული (7) (ძაფი ფოლადის)	14	44.01	616.14
22	MCP220 Hმონოკრილი პლიუსი (2/0)	4	9.6	38.4
23	N 36 37 R 2-5-2 MM "D" F7 TC 4P LE 10 R	1	1616.48	1616.48
24	PMM3 პროლენის ბადე 15X15	3	176.03	528.09
25	PMS3 პროლენის ბადე 6X11CM	2	88.01	176.02
26	Q 35 33 R D7 IRR TIP D 252 10	1	3002.04	3002.04
27	TR45B ETS45 RELOADING UNITS	2	293.63	587.26
28	TR45W ETS45 RELOADING UNITS	6	284.19	1705.14
29	VCP 317 H ვიკრილ პლუსი (2/0) 70 სმ ნემსი მჩხვლეტავი 26 მმ 1/2	20	8.07	161.4
30	W 6952 ეთიბონდი (2/0) 90 სმ ორი ნემსი ტაპერკატი 36 1/2	17	11.15	189.55
31	W 8556 პროლენი (5/0) ორი ნემსი მჩხვლეტავი 17 მმ 1/2	50	13.22	661
32	W 8557 პროლენი 4 (0) 90 სმ ორი ნემსი მჩხვლეტავი 17 მმ 1/2	36	12.84	462.24
33	W 9581 T ვიკრილ (3/0) 75 სმ ნემსი მჭრელი 25 მმ 3/8	24	12.18	292.32
34	W810 ცვილი ძვლის 2,5 გრ	12	6.24	74.88
35	W8521 პროლენი (4/0) 90 სმ ორი ნემსი მჩხვლეტავი 1/2	29	13.04	378.16
36	W8522პროლენი (3/0) 90 სმ ორი ნემსი მჩხვლეტავი 25 მმ 1/2	36	12.85	462.6
37	W8702 პროლენი (7/0) 60 სმ ორი ნემსი მჩხვლეტავი 8.0 3/8	85	28.33	2408.05
38	W8706 პროლენი (6/0) 75 სმ ნემსი მჩხვლეტავი 13 მმ 3/8	66	14.67	968.22
39	W8710 პროლენი (5/0) 75 სმ ორი ნემსი მჩხვლეტავი 13 მმ 1/2	12	14.31	171.72
40	W9124 H პიდიესი (3/0) 70 სმ ნემსი მჩხვლეტავი 26 მმ 1/2	4	9.82	39.28
41	W9500T ვიკრილი (6-0) 45 სმ ნემსი მჭრელი 15 მმ 1-2	5	12.66	63.3
42	W9970 ვიკრილ რაპიდი (4/0) 75 სმ ნემსი მჩხვლეტავი 17 მმ 1-2	10	12.46	124.6
43	W9974 ვიკრილ რაპიდი (3-0) 75 სმ ნემსი მჩხვლეტავი 22 მმ 1-2	4	9.63	38.52
	სულ			30627.49